



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ბრძანება N 173/2

2018 წლის 09 ოქტომბერი.თბილისი

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, მე-20 მუხლისა და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2018 წლის 09 ოქტომბრიდან გამოცხადდეს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები.
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 30 ოქტომბრიდან და დასრულდეს 2018 წლის 08 ნოემბრის ჩათვლით. კენჭისყრა გაიმართოს 2018 წლის 09 ნოემბერს.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს ფაკულტეტებზე და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.tafu.edu.ge.
5. ბრძანების შესრულება დაევალოს ფაკულტეტებსა და სტუდენტურ თვითმმართველობას.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1
თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6.

გიორგი მარგველაშვილი

რექტორი